ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

კომუნისტი

ყოველდღიური გაზეთი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

№ 136 სამშაბათი, 16 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 16 აგვისტო, 1921 წ. № 136

16 აგვისტო
სამშაბათი

1919. მუშების და გლეხებისადმი მოწოდების გამოქვეყნება, სადაც მთავრობა მოუწოდებს ციმბირის მშრომელ კაზაკობას წინააღმდეგობის [illegible] ციმბირში.

1917. საფრანგეთში მოხდა დიდი დემონსტრაცია [illegible] საბჭოთა მთავრობების რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლების ნიადაგზე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კომუნისტების ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე [illegible] საათ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგია № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

[illegible]

— მოკრებილი პურის გზავნა უკვე დაიწყო რუსეთის პროლეტარიატმა დამშეულ გუბერნიებში თავის მშიერ მოძმე გლეხებთან.

— ისპანიის მთავრობა [illegible] არის სოციალურ-პოლიტიკური [illegible] წვავება.

— ინგლისის ბურჟუაზ[illegible] რუსეთის განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ადმინისტრატიულ უნარს რომელიც უტყუარი თავდები იქნება რუსეთის [illegible] სტიქიური უბედურებაზე გამარჯვების.

სამშაბათს 16 აგვისტოს 7 საათზე საღამოთი დრამის სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიმართება ქალ. თფილისის პარტიის წევრთა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში დგას: 1) შიმშილი ვოლგის პირის გლეხებისა. და 2) ანგარიში კავკასიის ეკონომიურ თათბირისა.

პირველ კითხვაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. კიროვი.
მეორეზე ამხ. ს. ბეკზადიანი.

მატყუარები და გამყიდველები

(ამხ. ტოროშელიძის წერილის გამო).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მთავრობას არ მოუტყუებია თავისი სამშობლო ისე სამარცხვინოთ, როგორც მიატყუა მენშევიკურმა მთავრობამ საქართველო.

არც ერთ ლტოლვილ მთავრობის პრაქტიკაში ადგილი არ ქონებია ისეთ [illegible], პირდაპირ ჯამბაზობას და პოლიტიკურ ავანტიურას, როგორიც გამოიჩინა ნ. ჟორდანიას დემოკრატიულმა მთავრობამ. თუ თბილისის მისადგომებზე სამხედრო შეტაკების ხანაში ეს მთავრობა კიდევ ჩაითვლებოდა ხალხის ერთ-ერთი ნაწილის მოთავედ და მისი ნების გამომხატველად, თბილისის მიტოვების შემდეგ ის გადაიქცა სრულიად უპასუხისმგებლო ჯგუფად, რომელიც [illegible] ერთი ავანტიურიდან მეორეს, ცდილობს [illegible], ხიფათის წინაშე აფეთქებით, დელეგაციების გზავნით, ცრუ მოიგოს ქვეყნის გასაცარცვავად დრო, და, თუ შესაძლებელი იქნა, სტრატეგიულად წაგებული საქმე გამოასწოროს რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს საქართველოს. მკითხველი გაეცნობა ქვემოდ ამხ. მალაქია ტოროშელიძის წერილს და დაინახავს სულთმობრძავ მენშევიზმის [illegible] სისაძაგლეს.

და ზოგმა დღესაც არ იცის, რომ სწორედ მენშევიკებმა, რომლებიც სამი წლის განმავლობაში გვნათლავდენ ჩვენ, კომუნისტებს ქვეყნის გამყიდველებათ, ოსმალეთის და სხ. აგენტებათ, თვითონ უბოძეს ოსმალეთს ახალქალაქის, ახალციხის მაზრები, არდაგანის და ბათომის ოლქი. ჩვენ ხელთ არის ქაზიმ-ბეის ბრძანების დედანი, დაბეჭდილი ნ. ჟორდანიის მთავრობის ჯერ კიდევ ბათომში ყოფნის დროს. ამ ბრძანების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „უკანასკნელ დღეებში საქართველოს მთავრობის თანხმობით ბათომის, ახალციხის და ახალქალაქის ოლქებს ოკუპაცია უყვეს ჩვენმა ჯარებმა. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის დადგენილებით, რომელიც ეყრდნობა ჩვენს ეროვნულ უფლებათ, მრავალჯერ დადასტურებულთ სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებით, ეს ოლქები დღეიდან უბრუნდებიან დედასამშობლოს და ექვემდებარებიან პოლიტიკურად და ადმინისტრატიულად ოსმალეთის ეროვნულ მთავრობას“.

ახალქალაქი, ახალციხე, არდაგანი და ართვინი ჯერ კიდევ თებერვალში დაიკავა ოსმალეთის ჯარებმა, ხოლო ბათუმში კიაზიმ ბეის ჯარის ნაწილები მენშევიკების მთავრობამ შემოიყვანა 11 მარტს. როცა ჩვენმა დელეგაციამ თბილისიდან შეეკითხა მენშევიკების მთავრობის დელეგაციის თავმჯდომარეს გრ. ლორთქიფანიძეს—თუ რას ნიშნავს ეს და რა მნიშვნელობა ექნება მოლაპარაკებას, მან უპასუხა: ჯარი ჩვენი ნებართვით შემოვიდა ბათუმში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ე. ი. მენშევიკური მთავრობა სრული ბატონ-პატრონი არ ვიყვეთ ახლაც ბათუმის ოლქში, ჩვენი „დომინიცია“ გრძელდება უწინდებურათ. ჩვენს შეკითხვაზე: თქვენი მოკავშირე ოსმალეთის ჯარები, თუ ისინი ოკუპანტები არიან, ე. ი. ძალით შემოჭრილი, გ. ლორთქიფანიძემ გაიმეორა პირველი თავისი პასუხი. რა მიზანი ქონდათ მენშევიკებს, როცა ოსმალეთის ჯარებს უშვებდენ ბათუმში? შეუძლებელია, მათ განზრახვა ქონდათ ქემალისტები და საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის ჯარები ერთმანეთისთვის დაეტაკებიათ. ეს უეჭველი იქნებოდა, ვინაიდან რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით ბათუმი საბჭოთა საქართველოს უნდა დარჩენოდა. ეს იცოდა მენშევიკების მთავრობამ და მან მოისურვა ალბათ ქემალის და წითელი ჯარის აუცილებელ შეტაკებიდან ცოტა რამ კაპიტალი შეეძინა და ანტანტის გულიც მოეგო. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ყოველივეს დამკარგავმა მენშ. მთავრობამ ვერ გაითვალისწინა ის საფრთხე, რომელიც მან მოუმზადა საქართველოს ოსმალეთის ჯარის შემოშვებით, მას ფიქრადაც ქონდა ქიაზიმ-ბეის ჯარების დახმარებით საქ. რევკომის ჯარების უკუქცევა და შემდეგ ქიაზიმ ბეისთან მორიგება საქართველოს განაპირა ოლქების საბოლოოდ [illegible], მაგრამ [illegible] კომბინაციამ არ [illegible], მხოლოდ მაშინ გამოუჩნდა თვალები წვრილი ბურჟუაზიის მთავრობამ, მხოლოდ უკანასკნელ წუთში შეიგნო, რომ მხოლოდ წითელ ჯარს შეუძლია ბათუმის გადარჩენა საქართველოსათვის. და ცალიერი ვაგონებიც დაიძრა [illegible] წითელი ჯარის გადასაყვანათ ბათუმის საშველად და სახსნელად.

მაგრამ მაინც ამაში არ გამოიხატა მენშ. მთავრობის სიმდაბლე და ამ სიბეცით გამოწვეული ავანტიურა. ეს მთავრობა

ლაშქრად, რომელიც ეხლაც მენშევიზმის და დემოკრატიის სამსხვერპლოს შესწირავდა თავს და ზარბაზნების საკვებად გადაიქცეოდა. ნ. ჟორდანიას მთავრობას საბოლოოდ [illegible] წარმოედგინა მუშა-გლეხებისგან შემდგარი ჯარი და თუ ეს მუშები და გლეხები ნამდვილ პროლეტარული ენთუზიაზმით [illegible] საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ და თავის სისხლის დაღვრას არ შეუშინდებოდენ საბჭოთა ბათუმის შესანარჩუნებლად საბჭოთა საქართველოსთვის—ეს მათ შეუძლებლად მიაჩნდათ. პოლიტიკური [illegible] მუშურ-გლეხური ჯარიც შეფასებული ყავდათ [illegible] ბინძური საზომით. მაგრამ ქართველ მუშებმა და გლეხებმა, რომელნიც მთელი პოლკებით ნებდებოდენ ლორის მხარეში აჯანყებულთ და წითელ არმიელებს, ბათუმში გამოიჩინეს არაჩვეულებრივი სიგმირე. გემებზე გადახიზნულ მენშ. მთავრობის შემხედვარემ, მატყუარა მთავრობისაგან ღვთის ანაბარათ მიტოვებულმა ქართველ ჯარმა მყის გაერკვია მდგომარეობაში, უყოყმანოთ დადგა ბათუმის რევკომის დროშის ქვეშ და უკუაგდო საბჭოთა ბათუმის ოკუპანტებს. ქართველმა წითელმა ჯარმა მოინთ[illegible] თავის სისხლით და იხსნა საბჭოთა ბათუმი, გაცემული და მიტოვებული სტამბოლისაკენ გაშურებულ მენშევიკური მთავრობის მიერ.

ამხ. ტოროშელიძის მოგონებაში მეტად საყურადღებოა სხვათა შორის ის მომენტი, როცა მენშევიკების პატრიარქი ემუდარება ბოლშევიკებს—დააჯერეთ ის უამრავი ხალხი, რომელიც დაშინებული კუდში აგვეკიდა და არ გვცილდება.

„ბათუმში ჩამოვიდა,—ამბობს ნ. ჟორდანია,—ბევრი ლტოლვილი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან. ისინი ძალიან შეშინებული არიან და ყველანი კონსტანტინეპოლში აპირებენ გაქცევას. უნდა დააწყნაროთ ეს ხალხი, უნდა დაარწმუნოთ, რომ არავითარი საშიშროება არ მოელით, თუ აქ დარჩებიან. ჩვენ ვეხვეწებით, რომ დარჩნენ. მაგრამ იმდენათ შეშინებული არიან, რომ არ გვიჯერიან. მერე, ვინ გინდათ, რომ არ გამოქცეულა: საზოგადო მოღვაწეები, კოოპერატორები, უბრალო გლეხები და საერთოთ ყველა შეშინებული ხალხი. უნდა ჩამოუაროთ ხვალ თქვენ იმათ და დაიყოლიოთ, რომ დარჩნენ“...

მთელი სამი წლიწადი ქართველ მენშევიკები მხოლოდ იმის მტკიცებაში იყვნენ გართულნი, რომ ბოლშევიკები მხეცებია, რომ ისინი ჯოჯოხეთის მოციქულებია, რომ მათ არ სწამთ არაფერი, ხოცვა-ჟლეტა, ნამუსის ახდა, ცარცვა და გლეჯაა მათი ხელობა და სხ. სხ... როცა ასეთი გაშმაგებული აგიტაციით დამფრთხალი ხალხი აედევნა გაქცეულ მთავრობას, როცა დიდმა და პატარამ მიატოვა თავისი სახლკარი და ცხოველური შიშით აცეცებულმა სტამბოლისაკენ გასწია, მენშევიკების მთავრობა ამ მისგან მოტყუებულ და საშინელ ტრაგედიაში გადატყორცნილ ზღვა ხალხს უკან ერეკება, თან არ მიჰყავს, სტოვებს ერთგულ [illegible] კი, რომელსაც ყველაზე მეტი საფრთხე მოელით ბოლშევიკებისაგან. დასახასიათებელია, რომ ჟორდანიას მთავრობამ დაუმალა ხალხსაც და ჯარსაც საქ. რევკომის 25 თებერვლის დეკრეტი საერთო ამნისტიის შესახებ და ამის შემდეგ ეს მთავრობა [illegible], კონტრაგიტაციას იწყებს,—ბოლშევიკების ნუ გეშინიათ, ჩვენ ნუ გვეკიდებით, აქ დარჩით. რასაკვირველია ასეთ მთავრობის ახალ აგიტაციას არავინ ათხოვებს ყურს, ის ნდობა დაკარგულია თვით თავის [illegible] კი, მას გარს ერტყმის ოფიცერთა ჯგუფი და გასწორებით ემუქრება, და აი, მენშევიკების მთავრობა მიმართავს „ნებაც“ ბოლშევიკებს, ჯერ კიდევ ციხეში მყოფთ, და ემუქრება: გადაარჩინეთ ჩვენ მიერ მოტყუებული ხალხი. მეტი მორალური კრახი, მეტი შერცხვენა და გახრწნილება წარმოუდგენელია.

მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიული კამარილიას და იმპერიალისტების ლაქიებს შეეძლოთ ამის ჩადენა და მხოლოდ მათ შეუძლიათ ამის ატანა.

ქართველმა მუშამ, გლეხმა და წითელ-არმიელმა, საერთოდ ყველა მშრომელმა და პატიოსანმა მოქალაქემ ღრმად უნდა ჩაუკვირდენ მენშევიკების მოქმედებას, რომელიც მათ ახასიათებს, როგორც მატყუარებს და მშრომელთა საქართველოს გამყიდვე-

ბათუმის ამბები

საქართველოს საბჭოთა ქვეყნათ გადაქცევას თავისი ისტორია აქვს და ამ ისტორიაში ბათუმის ამბებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს ამბები ცხადყოფენ, რომ 1) წითელი ჯარი მხნელად მიევლინა ბათუმს და 2) მენშევიკური მთავრობისაგან მიტოვებული ქართული ჯარი,—მუშა-გლეხებისაგან შემდგარი, სწრაფად გაერკვია მდგომარეობაში, ყოველივე ყოყმანის გარეშე დადგა საბჭოთა წითელი დროშის ქვეშ და მრავალი სისხლი დაღვარა საბჭოთა ძალა უფლების განსამტკიცებლათ. ქართული და რუსეთის ჯარის დაძმობილება, მათი ერთ ძალათ გადაქცევა ისე ბუნებრივათ მოხდა, რომ სრულიად შეუმჩნეველი შეიქნა ფართო წრეებისთვის. ბათუმი უკანასკნელი წერტილი იყო ბოლშევიზმ მენშევიზმის შეტაკებისა და აქ ყველაზე უფრო ცხადათ გამოიხატა პირველის ცხოველმყოფელობა და მეორის სასიკვდილო ხრიალი.

რამდენათაც ვიცი, ეს ამბები დღემდის არავის გაუშუქებია და მგონი პასუხისმგებელ ამხანაგებსაც არ აქვთ ნათელი წარმოდგენა მთელ მათ მნიშვნელობაზე. სამწუხაროთ, მოუცლელობის გამო მეც დამიგვიანდა ამ ამბების აღწერა და შესაძლოა ბევრი დამახასიათებელი წვრილმანი გამომრჩა. მაგრამ საერთო სურათიც დიდ ინტერესს წარმოადგენს და მისი უტყუარათ აღწერა დღესაც შემიძლია.

ბათუმის ამბებში ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს წარმოადგენს ჟორდანიასთან მოლაპარაკება და მეც ვრცლად შევჩერდები ამ მოლაპარაკების გადმოცემაზე.

მენშევიკური მთავრობის გაქცევის წინ ბათუმის ციხეში იმყოფებოდა 500-ზე მეტი კომუნისტი. გარედან ცნობები კანტი-კუნტად აღწევდა ციხეში და ყველაზე მეტი ნერვიულობას იწვევდა ხმები ჩვენი წაყვანის შესახებ კონსტანტინეპოლში. ამ ხმების სიმართლე გვჯეროდა მით უმეტეს, რომ სხვადასხვა ციხეებიდან ბათომის ციხეში თავმოყრილი ამხანაგები და [illegible] სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ერთხმათ აცხადებდენ რომ მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ჩვენი სტამბოლში გამგზავრება.

ამ აზრით ვიყავით შეპყრობილი და ყოველივე ცვლილებას ციხეში ამ თვალსაზრისით ვხსნიდით. ამიტომ ცოტა არ იყოს [illegible] იმ ამბავმა, რომ შუაღამისას, 16-დან 17 მარტს ჩვენ გაგვაღვიძეს და კანცელარიაში გაგვიხმეს. გამოირკვა, რომ ციხეში მოვიდა გენერალ-გუბერნატორი გიორგაძე, რომელმაც გვაცნობა, რომ ჟორდანიას სურს მოელაპარაკოს სამ ამხანაგს: სერგო ქავთარაძეს, მალაქია ტოროშელიძეს და კარპე მოდებაძეს. კარპე ავადმყოფობისა გამო დარჩა ციხეში, ხოლო მე და სერიოჟამ საჩქაროთ ჩავიცვით და გავყევით გიორგაძეს. ჩვენ ავტომობილით მიგვიყვანეს ჟორდანიასთან, რომელიც სალონ ვაგონში ცხოვრობდა.

ვაგონში იყვნენ: ნოე ჟორდანია, რომელიც დივანზე იჯდა, მის ახლო იდგნენ გეგეჭკორი და ლორთქიფანიძე, მის პირდაპირ ჯუღელი და დგებუაძე და ახლად მოსულებს უნდა დაეთმოთ ადგილი ჟორდანიიდან მარჯვენა [illegible]. ჩვენ ყველამ ხელი ჩამოგვართვა, მე ჟორდანიამ თავის გვერდით მომცა ადგილი, ხოლო სერიოჟამ მის პირდაპირ დაიდგა სკამი. მე სერიოჟას დავაცქერდი და მისმა გამომეტყველებამ მაცნო, რომ ჩვენ ამ შეხვედრამ მაინც და მაინც კაი გუნებაზე ვერ დაგვაყენა. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ჟორდანია ამ ბოლო დროს ძლიერ გამხდარიყო, მაინც გარეგნულად მხნეთ ეჭირა თავი. მან პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— ხომ იცით, რისთვის გამოგიწვიეთ? იკითხა მან.

— არა, ჩვენ არაფერი არ ვიცით.

— აი რაშია საქმე. ჩვენ გადავწყვიტეთ ბათუმი უეჭველად შევუნარჩუნოთ საქართველოს, როგორც უნდა იყოს იგი—იქნება ის ბოლშევიკური თუ მენშევიკური. ბათუმის დაპყრობის საშიშროება არსებობს. ქემალისტების პატრულები უკვე ქალაქში დადიან და ამას ალბათ თქვენც დაინახავდით. მაგრამ ჯერ კიდევ შეიძლება საქმე გამოსწორდეს, თუ საბჭოთა ჯარები მალე შემოვლენ აქ. ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვსა და ანგორას შუა დადებულია ხელშეკრულება, რომელსაც მიხ. ცხაკაია აწერს ხელს და რომლის ძალით ბათუმი უნდა დარჩეს საბჭოთა საქართველოს. და ჩვენ გვგონია, რომ ქემალისტები ვერ გაბედავენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ გამოსვლას. ამნაირათ, ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ საბჭოთა ჯარები რაც შეიძლება [illegible] შემოვიდნენ აქ. ამისთვის საჭიროა, რომ სერიოჟაც პარლამენტიორათ წავიდეს საბჭოთა ჯარებისკენ, რომლებიც აქეთ მოიწევენ, შეატყობინოს მათ აქაური საქმის მდგომარეობა და დააჩქაროს მათი აქ მოსვლა. ჩვენ ბრძანებას გავცემთ, რომ ქართველმა ჯარმა დაუბრკოლებლათ გაატაროს საბჭოთა ჯარები. ჩვენ უკვე გავგზავნეთ ლანჩხუთისკენ ცარიელი ვაგონები წითელ არმიელებისთვის. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა ჯარები უახლოვდებიან ბა-

[illegible] შეიძლება დააგვიანდეს რადგან ცუდი გზები აქვთ გამოსავლელი და გარდა ამისა ამ რაიონში თურმე ქემალისტების ნაწილები მოქმედებენ. ეს ჩვენ არ ვიცოდით და პირველათ ამაზე [illegible] შეგვატყობინა, რომელიც პირდაპირ მავთულით შეგვეკითხა—ეს ვისი ჯარებიაო. ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ ვიცით. ეტყობა, საბჭოთა კონტრ-დაზვერვა ჩვენზე უკეთ მუშაობს, ქემალისტების რიცხვი ქალაქში 1500 კაცს არ აღემატება, ისინი შეიძლება გაძლიერდენ, თუ არ დავასწარით. ჩვენი ჯარები ეცდებიან შეაჩერონ მათი მსვლელობა ბათომისაკენ და გაუწიონ წინააღმდეგობას, რომ შეაჩერონ ისინი საბჭოთა ჯარების მოსვლამდე. საჭიროა, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს საბჭოთა ჯარების აქ მოსვლა.

ჩვენ შევეკითხეთ ხომ არ არის საშიშროება აფიცრების მხრივ, რომლებიც, როგორც ციხეში გვეყურებოდა, თურქოფილურათ უნდა იყვნენ განწყობილი. ამაზე ჟორდანიამ გვიპასუხა:

— ჩვენ ვიცით ეს განწყობილება, ზომებსაც ვღებთ, მეთაურებს ვიჭერთ. განსაკუთრებული რაზმი, რომელიც თქვენ გატუსაღებდა და გდევნიდა, ახლა მთელ თავის ძალას აჯანყებულ ოფიცრების წინააღმდეგ ხმარობს. სხვათა შორის, ბათომის ბედიღბლის საკითხი დავაყენეთ ჩვენ დამფუძნებელი კრების კომისიაში. ამ კომისიაში ნაციონალ დემოკრატებიც შედიან. მსჯელობის დროს მე მივხვდი, რომ არ შეიძლებოდა რაიმე დადგენილების გამოტანა ისეთ შემადგენლობაში, რომლის წყალობით ქემალისტები შეიტყობდენ ჩვენს პლანებს. ამიტომ მე საკითხს მივეცი უბრალო აზრთა გაზიარების ხასიათი. მე განვაცხადე, რომ მთავრობამ უნდა გაიგოს თქვენი აზრი და თავის აზრს შემდეგ წარუდგენს დამფუძნებელ კრებას-თქო.

— მეორე საკითხი. ჩვენ შეუთანხმდით თბილისის მთავრობას შესახებ დატუსაღებული კომუნისტების ევაკუაციისა. სერიოჟა დანიშნულია საბჭოთა მთავრობაში განსაკუთრებულ რწმუნებულათ და მას აქვს დავალებული [illegible] ეს ევაკუაცია. თუმცა გზა ძალიან დატვირთულია, მაგრამ შეიძლება ხვალ ხალხისათვის დამზადდეს რამდენიმე ვაგონი.

— მესამე საკითხი. ბათომში ჩამოვიდა ბევრი ლტოლვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ისინი ძალიან შეშინებული არიან და ყველანი კონსტანტინეპოლში აპირებენ გაქცევას. უნდა დააწყნაროთ ეს ხალხი, უნდა დაარწმუნოთ, რომ არავითარი საშიშროება არ მოელით, თუ აქ დარჩებიან. ჩვენ ვეხვეწებით, რომ დარჩნენ, მაგრამ იმდენათ შეშინებული არიან, რომ არ გვიჯერიან, მერე, ვინ გინდათ რომ არ გამოქცეულა. საზოგადო მოღვაწეები, კოოპერატორები, უბრალო გლეხები და საერთოთ ყველა შეშინებული ხალხი. უნდა ჩამოუაროთ ხვალ თქვენ იმათ და დაიყოლიოთ, რომ დარჩნენ. ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია. თბილისიდან ჩამოვიდა კომისია ([illegible] და სხ.), რომელიც აგიტაციას ეწევა, რომ ბოლშევიკები არაფერ საშინელებას არ ახდენენ, არავითარ ექსცესებს ჯერ-ჯერობით თურმე ადგილი არა აქვს. გარდა ამისა, თქვენი მთავრობის მიერ გამოცხადებულია ამნისტია და ეს შეგიწყობთ ხელს ამ საქმეში.

— მე თვითონ დავრჩებოდი, სრულიად სერიოზულად სთქვა ჟორდანიამ—რომ მთავრობის თავმჯდომარე არ ვყო. მაგრამ არ შეიძლება რომ ერთ ტერიტორიაზე ორი მთავრობა არსებობდეს, და ამიტომ უნდა წავიდე. ამით გაათავა ჟორდანიამ თავისი სიტყვა.

თავბრუ დამხვევი იყო ჩვენ მიერ მიღებული ცნობები და ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ნამდვილი აზრი იმისა, რაც ჩვენს თვალწინ ხდებოდა. ჩვენ ციხიდან წამოგვიყვანეს და იქიდან გამოგვყვა ჩვენ ტუსაღის ფსიხოლოგია, რომელიც მოჰქონდა მთელ ჩვენს შეგნებას. ჩვენ იმ მხარეს მივაქციეთ ყურადღება, რომელიც სწორეთ ტუსაღის თვალსაზრისით იყო საინტერესო. ჩვენ დავსვით სხვადასხვა წვრილმანი საკითხები ევაკუაციის შესახებ, ვკითხეთ ისიც, თუ სად უნდა მოგვენახა ლტოლვილები, რომ მათ აგიტაცია გაუწიოთ და სხ. არ ვიცი, სერიოჟა რას ფიქრობდა იმ წამში, ხოლო მე კი გამირბოდა ფიქრი, ვაი თუ ჩვენი გამოუცდელობით და უცოდინარობით უნდათ ისარგებლონ და უნდათ გამოგვიყენონ ჩვენ, რომ ხაფანგი მოუწყონ წითელ ჯარს მეთქი. მარა ამ მოსაზრებას [illegible] უფრო მეორე აზრი, რომ ხვალ ყველა კომუნისტებს გაანთავისუფლებენ, მიიყვანენ ფრონტზე და გადასცემენ ჩვენს მთავრობას. ამნაირათ, ჩემი ფიქრით ფრონტი ისევ არსებობდა სადღაც ლანჩხუთის ახლო (ჟორდანია არ ასახელებდა იმ ადგილს, სადაც წითელი ჯარები იმყოფებოდენ), ხოლო ბათუმში უნდა შემოსულიყო ჯარის ერთი ჯგუფი, რომელიც 40—50 ვაგონში დაეტეოდა. ჩვენ ისიც კი ვკითხეთ,—საშიში ხომ არ არის ამ გაღიზიანებული ხალხის წინ ჩვენი

[illegible] შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატი კარგათ მუშაობს და არავითარ ექსცესებს ადგილი არ ექნება. ჩვენ არა გვქონდა არავითარი წუთი დრო, რომ გონების ბრძმედში გაგვეტარებინა ჟორდანიას ნათქვამი და იმანაც ხომ მალულათ არ გვითხრა, რაც საიდუმლო იყო თუ ჩვენი აზროვნება ძალაუნებურათ უკრიტიკებდა ლტოლვილების და კომუნისტების ბედიღბლის საკითხს, ჟორდანიამ შემდეგი ლაპარაკით სულ დაგვაშორა მომენტის არსებით მხარეს. რასაკვირველია, აშკარა იყო, რომ მენშევიკური მთავრობა [illegible] შეიქნა, მარა მაინც გვეგონა, რომ მისი სულის [illegible] ნელ ამოღებამდი რამდენიმე დღე კიდევ დარჩა; ნამდვილათ კი ჩვენ თურმე იმ წამს ველაპარაკებოდით არა ნამდვილ მთავრობას, არამედ ყოფილ მთავრობას. ამაში ჩვენ დავრწმუნდით 16 საათის შემდეგ. მაშინ კი სხვადასხვა ლაპარაკმა შეგვიშალა ხელი შეგვეგნო ნამდვილი მდგომარეობა. ჟორდანიამ სთქვა, რომ ბათუმს [illegible] საბჭოთა ჯარიო, მაგრამ მან ის არ სთქვა, რომ ბათუმის გადასარჩენათ აგრეთვე საჭიროა საბჭოთა ძალა უფლება თვით ბათუმში. ისე გამოვიდა, რომ საბჭოთა ჯარების მოსვლამდი ბათუმის სრულუფლებიან პატრონათ მენშევიკური მთავრობა უნდა დარჩენილიყო და ჩვენ მხოლოთ შეგვეძლო ბათუმიდან გაგვეყვანა, გაგვეწია აგიტაცია ლტოლვილთა შორის და ვყოფილიყავით პარლამენტიორებათ.

პირადათ ჯუღელმა შესცვალა ლაპარაკის საგანი. მან ირონიულათ მოაგონა სერიოჟას იმ ბანკეტის შესახებ, რომელიც რუსეთის მისიის შენობაში გაიმართა სახალხო გვარდიის და ერთი კვირის შემდეგ კი ამ ბანკეტის მასპინძელმა [illegible] ეს ომი დაგვიტეხაო. რა თქმა უნდა, ძნელი იყო ასეთი ბრალდების მოსმენა ასეთ წრეში. ჟორდანიამ გამოგვიყვანა ამ მდგომარეობიდან. მან ხაზგასმით შეხედა ჯუღელს და მელანქოლიური საიდუმლოებით წარმოსთქვა: „იქნება ჩვენ აქ უკანასკნელად ველაპარაკებით ერთმანეთსო“, და გადაიტანა ლაპარაკი კრონშტადტის ამბებზე. მან სთქვა, რომ ბოლშევიკების საქმეები ვერ არის მაინცადამაინც კარგათ, [illegible] არსად ჩანს, თუმცა მისი [illegible] შესახებაც დანამდვილებით ცნობები ჯერ არ არის, [illegible] ბოლშევიკებისთვის ჩვეული რიხიანი კილო, რუსეთის დეპეშების მიხედვით აჯანყებულები უკვე მოსკოვის გუბერნიაში შეიჭრენ და სხ. თუ ამ რეაქციამ გაიმარჯვა (სთქვა ნახევრათ სერიოზული კილოთი ჟორდანიამ), საქართველო ისევ ჩვენ უნდა გადმოგვეცეს. აქ კი შევუთანხმოთ სიტყვა და ვუთხარით, რომ თუ რეაქციამ გაიმარჯვა, მაშინ უნდა გამოეთხოვოთ საქართველოზე ოცნებასაც თქო. ლაპარაკი ამ თემაზე აღარ გაგრძელებულა.

რამიშვილი არ დასწრებია, [illegible] გაგვიადვილა იმდენ ხანს იქ ყოფნა, მაგრამ სხვა მინისტრები, რასაკვირველია, იმიტომ არ დასწრებიან, რომ დღესასწაულებრივი ხასიათი არ მიეცათ ჩვენი უჩვეულო ვიზიტისათვის. მე მგონია, მათ დავალებული ქონდათ კონტროლი გაეწიათ მოლაპარაკებისათვის. თუ ასე იყო, მათ მიაღწიეს თავის მიზანს, რადგან ის გაურკვეველი კილო, რომელსაც იქ ადგილი ქონდა, შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ იმ წამს თავი ვერ გავართვით მთელ იქ მომხდარ ამბებს.

მაინც იმედი უნდა გვქონოდა, რომ თუ კი ხვალ ყველა კომუნისტებს გაუშვებდნენ, ჩვენ [illegible] ახლავე თავი [illegible] ვიყავით. მარა წასვლის დროს ჩვენ გვითხრეს, რომ რადგანაც ჩვენ ბინა არა გვაქვს, ჩვენ ისევ ციხეში უნდა დავბრუნდეთ და იქ გავათიოთ ღამე. მართალიც; ციხეში აუცილებლათ უნდა მივსულიყავით, რადგან უამისოთ ამხანაგები დიდ საგონებელში ჩავარდებოდენ, მარა თუ მივიდოდით [illegible] იმ აზრით რომ ყოველ წამს შეგვეძლებოდა იქიდან გამოსვლა ჩვენ აღგვითქვეს, რომ ხვალ, დილის 9 საათზე მოგვიყვანდენ ავტომობილს და ჩვენი ბარგი [illegible] გადავასახლებდით [illegible] ან რომელიმე სხვა ბინაზე.

მიუხედავად ჟორდანიას სიტყვებისა („იქნება ჩვენ აქ უკანასკნელათ ველაპარაკებით ერთმანეთსო“) არ შეიძლება სწორეთ ამ ფრაზის წყალობით, ჩვენ გამოვემშვიდობეთ ჟორდანიას და ჯუღელს იმ აზრით, რომ როგორც პარლამენტიორებს, აგრეთვე კომუნისტების ევაკუაციის გამო და სხ. ჩვენ ხვალაც [illegible] მათი [illegible] ციხემდი ჩვენ ფეხით [illegible] და წასვლა გიორგაძესთან ერთათ, რომლის ავტომობილიც ვიღაცას [illegible]. გზაზე ჩვენ ვმსჯელობდით იმის შესახებ, თუ რანაირათ გადაგვეცა დატყვევებულთათვის ჩვენი მოლაპარაკების შინაარსი. ჩვენ სიტყვა ჩამოგვართვეს, რომ ჯერ-ჯერობით, რათა უდროვო ალიაქოთი არ გამოიწვიოს, ჩვენ არ გადავცემდით დატყვევებულ კომუნისტებს მთელი ლაპარაკის შინაარსს. კომუნისტების ევაკუაციის შესახებ შეგვეძლო გვეთქვა, მხოლოთ უნდა გაგვეფრთხილებ-

[illegible] წყნარათ ეცადნათ მეორე დღის საღამოთვის.

ჩვენ მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ციხის კომიტეტისთვის, რომელიც 7 ამხანაგიდან შესდგებოდა, გადაგვეცა ყოველივე და არავითარი წვრილმანი არ დაგვიმალავს. სხვების მიმართ მართლა შევასრულეთ პირობა.

დილით 17 მარტს, 1921 წ., ჩვენ შევკარით ბარგი და დაუწყეთ ლოდინი გიორგაძეს. მოლოდინი არ გაგვიმართლდა. 12 საათის შემდეგ ციხეში მოვიდენ ჯუღელი, ქუმბურიძე და სხვა ცნობილი მენშევიკები, რომელთაც დაგვიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ,—საშიშია მათთვის დარჩენა თუ აუცილებელია სტამბოლში გამგზავრება. მხოლოთ ორ-ნახ. საათზე ციხეს მოადგა ავტომობილი და ციხიდან წამოვედით ოთხი ამხანაგი ქავთარაძე, ტოროშელიძე, მოდებაძე და ვ. კანდელაკი.

ჩვენ ვიგრძენით ძლიერი მოთხოვნილება საჩქაროთ დავკავშირებოდით თბილისს და გაგვერკვია მდგომარეობა. [illegible] ერთად მთელი საათები ამაოთ ვიდექით პირდაპირ მავთულთან,—პირდაპირ არ მუშაობდა. რაკი აქ იმედი გაგვიცრუვდა, ჩვენ შევუდექით ჩვენი სხვა „მოვალეობის“ შესრულებას აგიტაციის და ხალხის დაწყნარებას. პარლამენტიორებათ კი რატომღაც არავინ არ გვეპატიჟებოდა. ჩვენ გვითხრეს, რომ წინა დღით დამფუძნებელი კრების სხდომაზე დიდ სკანდალებს და ალიაქოთს ქონდა ადგილი და ამ სხდომის გაგრძელება დღეს უნდა ყოფილიყო. სრულიად შემთხვევით გავიგეთ, რომ აფიცრების დიდი ჯგუფი შემოერტყა ჟორდანიას ვაგონს, იმუქრებოდა, მოითხოვდა კონსტანტინოპოლში წაყვანას და სხ. მაგრამ საბოლოოთ ჟორდანიას დააწყნარებინა ისინი და „ჯახუხებულებიც“ [illegible] იყვნენ. მხოლოთ მაშინ მივხვდით, რომ ქალაქში მთავრობა არ არსებობდა და ჩვენ უნდა შეგვექმნა ეს მთავრობა. გიორგაძე ასეთი წინადადებით შემოვიდა ჩვენთან: ჯერ ნუ გამოაცხადებთ რევკომს, რადგან ჟორდანია გვპირდება, რომ ხვალ, 18 მარტს, დილით, ის ძალა-უფლებას გადასცემს ქალაქს ხოლო ქალაქი გადმოგცემს მას თქვენ. ჩვენ ძლივსაც განვიხილავთ ეს წინადადება, რადგან მეტათ სერიოზული მომენტი დადგა. 17 მარტს საღამოს რვა საათზე უკვე გარკვეული იყო ქალაქში განცხადება, რომ შედგა ბათუმის რევკომი შემდეგი შემადგენლობით: ქავთარაძე, ტოროშელიძე და დ. მახარაძე. ამავე დროს გამოჩნდა კიაზიმ-ბეის პროკლამაციები, რომელშიაც ის უცხადებდა მცხოვრებთ, რომ ბათუმი დაუბრუნდა თავის დედა-სამშობლოს ოსმალეთს.

ეს ის პროკლამაცია იყო, რომლის შესახებ ჟორდანიამ მოლაპარაკების დროს გვითხრა, რომ მან შეაჩერა მისი ბეჭდვა.

დადგა სერიოზული წამი. არც ერთი წითელ არმიელი ჯერ ბათომში არ იმყოფებოდა, ჩვენ არც კი ვიცოდით, სად იყვნენ ისინი ან რამდენათ ახლოს იყვნენ ჩვენთან. კომუნისტები ისევ ციხეში ისხდნენ და საეჭვო იყო—შევძლებდით თუ არა ჩვენ მათ განთავისუფლებას. ამავე დროს უნდა დავყრდნობოდით რაიმე ძალას. უნდა მოგვეხდინა საიმედო ქართველი ჯარის მეთაურთა შორის, გადმოგვეყვანა ისინი ჩვენს მხარეზე, [illegible] ჯარის გაურკვეველი ნაწილი და ახალი დროშის ქვეშ დაგვეცვა ბათუმი წითელი ჯარების მისვლამდი. გიორგაძესთან მოლაპარაკების შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ გამოგვეშვა ციხიდან ერთი პარტია პასუხისმგებელ კომუნისტებისა 25 კაცამდე. რომლესაც ამასთან ერთათ ჩვენ ვერ [illegible] ყველა საკითხებს, რომლებიც თანდათან რთულდებოდენ, ჩვენ კინაღამ დაგვატყვევეს ქემალისტებმა. ჩვენ ისინი თურმე გარს შემოგვერტყენ და მოვახერხეთ ალყის გარღვევა [illegible]: ქართველი სალდათების [illegible] როგორც ტუსაღები ჩვენ მივდიოდით მათ და [illegible] და მათაც გზა გვიტიეს.

ჩვენ დავიკავეთ გენერალ გუბერნატორის შენობა, დავაყენეთ შესავალში მცველები და ამ მომენტიდან შევუდექით ქალაქის ნამდვილ დაცვას, განთავისუფლეთ ყველა კომუნისტები შევაიარაღეთ ისინი და წავიყვანეთ სადგურზე, რომელიც მათ უნდა დაეცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. რევკომი უკვე ძალა უფლებას წარმოადგენდა, მასთან შესდგა სამხედრო კოლეგია, რომელმაც აიღო ქალაქის დაცვის საქმე თავის ხელში. ეს საქმე გამარჯვებით გათავდა. ქართველმა ჯარმა და ბათომში დარჩენილ აფიცრების ნაწილმა საბჭოთა დროშის ქვეშ დაიცვა და გადაარჩინა ბათომი ქემალისტების ოკუპაციას საბჭოთა ჯარების მოსვლამდე. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ეპიზოდი მოთხრობილი აქვს სხვა ამხანაგებსაც და სხვა შორის ერთ მის აქტიურ მონაწილეს და მეთაურს ამხ. თენგიზ ჟღენტს. ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდები. 17 მარტს საღამოს მენშევიკები უკვე გემებზე ისხდნენ და მზათ იყვნენ სტამბოლისაკენ გასამგზავრებლად.

მ. ტოროშელიძე.

წერილები კოოპერაციაზე

3. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოოპერაციის შესახებ.

რევოლიუციის პირველი პერიოდი ხასიათდებოდა მით, რომ დანგრეულ იქნა ბურჟუაზიული სახელმწიფო და მის მაგიერათ იქმნებოდა ახალი, პროლეტარული. მასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა ამ ხნის განმავლობაში სასტიკი, გააფთრებული ბრძოლის წარმოება კონტრ-რევოლიუციასთან. ორივე ამ პროცესს თან ახლდა საწარმოვო ძალთა დიდი რღვევა. სახელმწიფო უფრო მეტად ანგრევდა, ვიდრე ქმნიდა და [illegible]. მეურნეობა განიცდიდა მუდმივ და დიდ დეფიციტს. ამას შედეგათ მოყვა ქვეყნის გაღარიბება, ფულის კურსის საშინელი დაცემა და სხვ.

ახლა ამ პროცესს ბოლო უნდა მოეღოს, ვინაიდან ასეთი საზარალო მეურნეობის გაგრძელების საშუალება ძალიან ცოტა დარჩა. რევოლიუციის დღევანდელი პერიოდის ერთი უმთავრესი ამოცანაა უდეფიციტო მეურნეობის შექმნა. თუ ეს მიზანი არ იქნება საჩქაროთ მიღწეული, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იქნება გააფართოვოს კი არა, არამედ შეამოკლოს თავისი ფართო საზოგადოებრივი რეფორმების გეგმა, როგორიცაა მაგალითად, სახალხო განათლების გაფართოვება და მისი დონის ამაღლება, სახალხო ჯანმრთელობის საქმის ფართოთ მოწყობა, ქვეყნის ელექტროფიკაცია და სხვ.

რევოლიუციამ გააუქმა ყველა ძველი პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები და ამით მოუსპო შემოსავლის წყარო სახელმწიფოს. ამიტომ შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვა საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა,

ასეთი შემოსავალი შეიძლება მიღებულ იქნეს ორი წყაროდან: სახელმწიფო საწარმოვო დაწესებულებებიდან და ნატურალური გადასახადის გზით. მაგრამ, როგორც რუსეთი, ისე საქართველოც უმთავრესათ მიწა-მოქმედების ქვეყნებია. მრეწველობა მათში (განსაკუთრებით საქართველოში) განვითარებულია ძალიან სუსტათ, ხოლო ომისა და რევოლიუციის დროს კი რაც იყო ისიც ძალზე დაინგრა. საჭირო იქნება სერიოზული მუშაობა ქვეყნის საწარმოვო ძალთა აღსადგენათ (ელექტროფიკაცია და სხვ.), სანამ მრეწველობას შეეძლება მოგვცეს ჩვენ საშუალებათა საჭირო რაოდენობა სახელმწიფოსთვის. ამიტომ ეს ჯერ კიდევ ასე ვთქვათ, „მომავლის მუსიკაა“. სახელმწიფო ხელისუფლებამ რუსეთში და საქართველოში, როგორც მიწად-მოქმედების ქვეყნებში, უნდა გამონახოს თავისი წყაროები ჯერ-ჯერობით უმთავრესათ მიწად-მოქმედებისა და წვრილი მრეწველობის დარგებში. ასეთ შემოსავლათ უნდა გახდეს ნატურალური გადასახადის სხვადასხვა სახე.

საქართველო ეს-ესაა ფეხს დგამს ამ გზაზე. ჯერ-ჯერობით მან დააწესა მხოლოთ ორი გადასახადი (პურზე და მატყლზე). მაგრამ ეს მხოლოთ დასაწყისია. მალე საჭირო იქნება გადასახადის სისტემის განვითარება, ახალი გადასახადების დაწესება (ყურძენზე, ქონზე, კვერცხზე, რძის პროდუქტებზე და სხვ). მაგრამ გლეხური მეურნეობა საქართველოში ძალიან ჩამორჩენილ მდგომარეობაშია: მიწის დამუშავება პრიმიტიულია, დიდ დახაკლისს ხნულობს გვალვების გამო და სხ., რომ მან გაუძლოს გადასახადების სიმძიმეს, აუცილებელი საჭიროა მისი დონის სწრაფი და ძლიერი ამაღლება, მისი შემოსავლიანობის აწევა.

ზრუნვა მიწადმოქმედების აწევაზე, მის ნაციონალიზაციაზე, ზრუნვა გლეხურ მეურნეობაზე არის ერთი უმთავრესი საქმე საქართველოში. რუსეთში და თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მიწადმოქმედების კომისარიატი და სურსათის კომისარიატი საქართველოს უმთავრესი კომისარიატებია. ქვეყნის მთელი მომავალი დამოკიდებულია ამ ორი უწყების წარმატებით მუშაობაზე.

მაგრამ მიწკომისარიატის მუშაობა იქნება საშინლათ გაძნელებული, პირდაპირ შეუძლებელი, თუ მას მოუხდება საქმის დაჭერა ცალკე გლეხურ სამეურნეო ერთეულებთან. შეუძლებელია ათასობით ასეთი სამეურნეო ერთეულების რაციონალიზაცია, სანამ ისინი განმარტოებულნი არიან ერთი მეორისაგან. ამას არ ეყოფა არც ტექნიკური ძალები, არც ნივთიერი საშუალებები. ხოლო ამას გარდა ბევრი ტექნიკური გაუმჯობესობა (ორთქლის გუთანი, მორწყვა და სხ.) შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოთ მიწების მსხვილ ნაწილებზე; აუცილებელი საჭიროა მთელ რიგ წვრილი, მეურნეობის მუშაობა ერთი გეგმის მიხედვით. ხოლო ყველა ამისთვის კი საჭიროა წვრილი გლეხური მეურნეობის გაერთიანება მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობებათ.

რუსეთში ერთ დროს ამხანაგების წილი წინადადებას იძლევა [illegible] კომუნების მოწყობის გზით [illegible] ადგილის უქონლობა სამუშაოების არ

სრული სურათი. შევნიშნავ მოკლეთ, რომ რუსეთში მოწყობილი კომუნები [illegible], რომ ხანგრძლივი იქნენ. რადგანაც ყოველი სოციალისტური თემი, კომუნა ცდილობს მიექცეს თავის ვიწრო ნაჭუჭში. კომუნები არ წარმოადგენენ ამიტომ მომავალი საზოგადოებრივი წარმოების [illegible]. მეორე მხრით განაწილების კომუნისტური წესი, რომელსაც ახორციელებენ კომუნები, და მიწაზე, შრომის იარაღებზე და სხვა ქონებაზე კერძო საკუთრების უარყოფა, რომელსაც უყენებენ კომუნები თავის წევრებს, მეტისმეტად ეწინააღმდეგება მშრომელ გლეხობას. ამიტომ ისინი ფართო განვითარებას ვერ შეძლებენ.

გაცილებით უფრო [illegible] და ცხოველმყოფელი იქნებიან უფრო უბრალო და გლეხებისთვის გასაგები მიწადმოქმედების არტელები მიწის კოლექტიურ დამუშავებისათვის. აქ გლეხების გაერთიანება მოხდება მხოლოთ წარმოების პროცესისთვის. მუშაობის დამთავრების შემდეგ პროდუქტი შეიძლება განაწილებულ იქნეს წევრებს შორის და ამ სახით მოხმარებას ექნება ინდივიდუალური ხასიათი. არტელში შესვლით გლეხს არ ეკარგება საკუთრების უფლება არც მიწაზე, არც შრომის იარაღებზე. კოლექტიური მეურნეობის გვერდით მიწის მეორე ნაჭერზე მას შეუძლია მოაწყოს თავისი ცალკე მეურნეობა. ამგვარათ არტელი [illegible] უფრო ადვილია, უფრო გასაგებია ინდივიდუალური გლეხისათვის. ამიტომ არტელებს შეუძლიათ უფრო ადვილათ და ფართოთ განვითარდნენ, ვიდრე კომუნებს.

აი ამ გზით განვითარებული კოლექტიური მეურნეობები უნდა გახდენ ის საფუძველი, რომელზედაც შეიძლება აღორძინებულ იქნეს საქართველოს მიწად-მოქმედება. მხოლოთ ასეთი კოლექტიური მეურნეობით შეუძლია [illegible] გააფართოვოს თავისი მუშაობა. და მხოლოთ კოოპერაციას [illegible] საქართველოს მიწად-მოქმედების რაციონალიზაციისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს შეუძლიათ დიდი როლის [illegible] და ხილის რაციონალურათ გამოყენებისათვის, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველო, მევენახეობისა და მეღვინეობის გაუმჯობესებისათვის, და აგრეთვე [illegible] მეურნეობის, მეჯოგეობის და სხვ. დარგებშიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გვერდით უნდა აღმოცენდენ სხვადასხვა სამეწარმეო ამხანაგობანიც, რომლებიც აერთიანებენ შინამრეწველთა და ხელოსნების მუშაობას. მათი ამოცანაა გააადვილონ, რაციონალიზაცია უყონ ამ მუშაობას, რადგან მას შეუძლია დაგვეხმაროს ტექნიკური, [illegible], ხოლო [illegible] ნედლი მასალის შოვნას და სხვ. სხვათა შორის ეს უკანასკნელი საქმე ([illegible]) [illegible], და აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ამხანაგობებმაც უნდა აწარმოვონ მომხმარებელი კოოპერაციის საშუალებით, რომელსაც აქვს გაშლილი [illegible] ორგანიზაციების ქსელი მთელ [illegible] და კავშირი საზღვარგარეთთან; არაა საჭირო მეორე ორგანიზაციის შექმნა ამ მიზნისათვის, თუ კი უკვე არის მოხმარებელ კოოპერატივთა ორგანიზაცია. სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო კოოპერაციებმა უნდა მოაქციონ მთელი თავისი მუშაობა წარმოების სფეროში და არა [illegible] ძალები გაცვლის საქმეზე.

სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია, თუ არ იქნა აღდგენილი საწარმოვო ძალები. მიწად-მოქმედების ქვეყნებში აღდგენა დაწყებული უნდა იქნეს მიწად-მოქმედებიდან, ეს კი შეიძლება მხოლოთ კოოპერაციის ფართო მუშაობის ხელშეწყობით.

წვრილი გლეხური მეურნეობები უნდა მოწყობილ იქნენ რაციონალურათ და შეტანილი სახელმწიფოს საერთო სამეურნეო გეგმაში. მსხვილი მრეწველობის მიმართ ეს შეიძლება განხორციელებულ იქნეს ნაციონალიზაციის გზით. გლეხების წვრილი მიწად-მოქმედების მიმართ, ნაციონალიზაცია, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. აქ რჩება მხოლოთ ერთი გზა კოოპერაციისა.

სწორეთ ეს ქონდა სახეში ენგელსს, როდესაც სწერდა თავის ბროშიურაში, „გლეხთა საკითხი საფრანგეთში“ —„ძალა-უფლების სათავეში ჩამდგარი პროლეტარიატი ([illegible]) გლეხებთან მივა არა ძალადობითი ზომებით, არამედ მაგალითით, მათი ცალკე წვრილ დაწესებულებების მსხვილ კოოპერატიულ დაწესებულებათ გადაქცევით“.

ენგელსის ამ რჩევის სისრულეში მოყვანას უნდა შევუდგეთ ჩვენ [illegible] მუშაობა [illegible] უნდა იქნეს [illegible] კოოპერაციასთან მჭიდრო კონტაქტში.

ბორჯომი, 8 აგვისტო, 1921 წ.

ნ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი ახალგაზრდობის ფურცელი № 20

ორგანო საქართველოს ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური და თბილისის კომიტეტისა

გაუმარჯოს საქართველოს კომკავშირის პირველ ყრილობას!
პირველი ყრილობა გაიხსნება მტკიცედ შეკავშირებულ ძალათ საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობისა!
საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობა გენერალური გადასინჯვაა ჩვენი ორგანიზაციული, შემოქმედებითი მუშაობისა!
ამხანაგებო, მზად იყავით ყრილობისთვის!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის ახალგაზრდათა სოლიდარობას, იმათ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ! გაუმარჯოს ამ ბრძოლის ხელმძღვანელს ახალგაზ. კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო კომიტეტებს

ამხანაგებო! 25 აგვისტოს თბილისში იხსნება ხელახლად პარტიული სკოლა. ჩვენს კავშირს დათმობილი აქვს 40 ადგილი. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ 24 აგვისტოსთვის გამოგზავნოთ მოსწავლენი. საჭიროა გამოიგზავნონ მოსწავლენი ჯანმრთელნი, წერა-კითხვის და ქართულის ან რუსულის კარგათ მცოდნენი 18-20 წლამდე. მოსწავლენი ვალდებულნი არიან წამოიღონ საჭირო ნივთები გარდა საწოლისა. გამოგზავნის ნორმა არის შემდეგი: 1) ახალციხე 2 კაცი, 2) ბორჩალო 1 კაცი, 3) თბილისის მაზრა 2 კაცი, 4) თელავის მაზრა 2 კაცი, 5) სიღნაღის მაზრა 2 კაცი. 6) თიანეთის მაზრა 2 კაცი, 7) გორის მაზრა 2 კაცი 8) დუშეთის მაზრა 3 კაცი, 9) შორაპნის მაზრა 2 კაცი, 10) რაჭის მაზრა 3 კაცი, 11) ლეჩხუმის მაზრა 2 კაცი, 12) ქუთაისის მაზრა 3 კაცი, 13) სენაკი 3 კაცი, 14) ზუგდიდის მაზრა 3 კაცი, 15) ოზურგეთის მაზრა 3 კაცი, 16) ფოთი 2 კაცი, 17) ბათუმი 1 კაცი, 18) სამხრეთ ოსეთი 2 კაცი.

ცეკას პოლიტ განმანათ.

პირველი თავისუფალი ყრილობა

თავისუფალი! რამდენი მოგონებანი არის ამ სიტყვებში ჩაქსოვილი. ამ სიტყვასთან არის დაკავშირებული ყველა ის დაბრკოლებანი რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენს კავშირს შეხვდრია თავის ორგანიზაციულ აღმშენებლობითი მუშაობაში. ასეთი დაბრკოლებანი დღეს მხოლოთ მოგონებათ და დარჩენილა. ყველა ის ბოროტი ძალები რომლებიც ახშობდენ ჩვენს ორგანიზაციებს, ძლეულ არიან.

ა. წ. 20 აგვისტოს თავისუფალ საქართველოს დედა ქალაქში, მის ყველა კუთხიდან, სადაც კი შეუნათებია კომუნიზმის იდეას და თავისი გამოძახილი უპოვია, შეიკრიბებიან ყველა ჩვენი ორგანიზაციების და იაჩეიკების წარმომადგენლები. აქ პირველად ყველანი ერთად პირისპირ შეხვდებიან, ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები.

ამ ყრილობაზე მოხდება გენერალური გადასინჯვა ჩვენი კავშირისა: გადასინჯვა ორგანიზაციული წყობისა ჩვენი რიგებისა ამრიგათ დეტალურათ განხილულ იქნება ყველა ის კითხვები რომლებიც სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენენ ჩვენი კავშირისას. გამომუშავებულ იქნება მრავალ და დიდის გამოცდილებათა მიღებით სათანადოთ შემზადებული გეგმა, რომელიც საფუძვლათ დაედება ჩვენს მომავალ ორგანიზაციულ მუშაობას. ყველა ამხანაგები, ამ ყრილობაზე მონაწილენი, სათანადოთ მომზადებული იქნებიან მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ყველა ორგანიზაციულ კითხვების გადაჭრაში; სათანადოთ მომზადებული იქნებიან სრული ანგარიში წარუდგინონ ყრილობას იმ მუშაობისა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ეწეოდნენ თავიანთ იაჩეიკებში, ყველა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები სისწორით აღნიშნონ. ასე ამ რიგათ ჩვენი პირველი ყრილობა გახდება საძირკველი რომელზედაც კიდევ უფრო ფართოთ აშენდება, აღმოცენდება ჩვენი ორგანიზაციები და იაჩეიკები.

ამხანაგებო მზად იყავით ამ ყრილობისთვის!

კ. გორდელაძე.

რაჭის სამაზრო კონფერენცია

31 ივლისს რაჭაში გაიხსნა მეორე ლეგალური კონფერენცია. კონფერენცია მეტად საქმიანი იყო გაირჩა სხვადასხვა საყურადღებო საკითხები რამაც გარკვეული და ნათელი გზა მისცა რაჭის ახალგაზრდობის მოძრაობას. რაჭის მაზრაში ახალგაზრდობის მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ [illegible] მუშაობის დროს 1919 წელს. ამ დროს იქაური ახალგაზრდობა დიდ ენერგიას იჩენდა მუშაობაში, რამაც წარმატების დიდი დაღი დაასვა ჩვენს ორგანიზაციებს. თავდადება და ენერგია მით უმეტეს მოსალოდნელი იყო გადატრიალების შემდეგ ეს ასეც მოხდა. ჩვენმა კავშირმა იქ მაგრათ გაიდგა ფესვი გლეხურ ახალგაზრდობაში. რაჭის არც ერთი კუთხე არ არის დღეს დარჩენილი, სადაც ჩვენი იაჩეიკები არ არსებობდეს. ამის დამამტკიცებელი იყო სამაზრო კონფერენცია. კონფერენცია წარმოადგენდა 400 შეკავშირებულ ახალგაზრდა გლეხს. კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერად ჩატარდა თუმცა ის მცირე ხნოვანი იყო, რადგანაც საველე მუშაობა დიდათ ხელს უშლიდა კონფერენციის სრული შემადგენლობის შეკრებას. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა. მრავლად ეტანებიან ჩვენს ორგანიზაციებში როგორც ახალგაზრდა გლეხები, ვაჟები ისე ქალებიც. ამ ძლიერ ახალგაზრდა მოძრაობას რომელიც დღეს რაჭაში ვითარდება, რა თქმა უნდა თან ახლავს დეფექტებიც, მაგრამ ეს საერთო მოვლენაა და სრულიად საქართველოს ყრილობა ბოლოს მოუღებს ამ დეფექტებს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ნამდვილათ აღმშენებლები ახალი წყობილებისა. მოწყობა სახოფლო-სამეურნეო ამხანაგობის, შაბათობის და კვირაობის, ენერგიული მონაწილეობის მიღება დანგრეული წარმოების აღდგენაში—აი რა უნდა იყოს ჩვენი მოქმედების მიზანი!

ჩვენს კავშირში.

დუშეთის მაზრა

24 ივლისს გაიხსნა მაზრის პირველი ლეგალური კონფერენცია ახალგ. კომკავშირისა. მას დაესწრო ცეკადან ამხ. დევდარიანი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 40 დელეგატი, რომლებიც აკავშირებდნენ 746-მდე წევრებს. დელეგატების დიდი უმრავლესობის სოციალური შემადგენლობა გლეხები იყო, ნაციონალური შემადგენლობით—რამდენიმე დელეგატების გამოკლებით, ყველა ქართველები. გამოირკვა, რომ ადგილებზე მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. არსდება ახალი ორგანიზაციები (ცხეთა, ქინვალი), თანდათან მაგრდება ძველები. მუხრანის რაიონში ითვლება 150 წევრი, იაჩეიკები არის 6 სოფელში. კვარაში ერთხელ ეწყობა შაბათობა, რომლითაც ჩვენი ამხანაგები ეხმარებიან ღარიბ გლეხებს პურის მომკაში. სხვა ყველა რაიონებშიაც თითქმის იმართება ასეთი შაბათობა და სწარმოებს აგრეთვე პოლიტგანმანათლებელი მუშაობა. ახალგორში, ერთი დესეტინა მიწა დაუმუშავებიათ კომუნისტურ ნიადაგზე, სადაც დათესეს სიმინდი. ბაზალეთში მუშაობა ყოველმხრივ კარგათ მიდის, ეწყობა სპეკტაკლები. წევრების რიცხვი აღის 239 მდე, ფასანაურში—ითვლება 48 წევრი. ლიტერატურის უქონლობა დიდათ აფერხებს მუშაობას. ახალი ორგანიზაციები მოეწყო ყაზბეგში და კობის რაიონშიც. გლეხები დიდ თანაგრძნობას უწევენ ჩვენს კავშირს. კონფერენციამ მუშაობა დაასრულა 26 ივლისს. მას ჰქონდა სამი სხდომა და გაარჩია მრავალი საყურადღებო საკითხები. გამოირკვა, რომ სამაზრო კომიტეტი კარგათ მუშაობდა. ბოლოს კონფერენციამ აირჩია ახალი სამ. კომიტეტი 7 კაცისაგან შემდგარი და 15 დელეგატი საქართველოს ყრილობაზე.

—

ახალციხის მაზრა.

ახალციხის მაზრის მშრომელი ახალგაზრდობაც დაადგა გამოფხიზლების გზას. იქაური გლეხები ეწერებიან ჩვენს კავშირში. მრავალ სოფლებში დაარსებულია ახალი იაჩეიკები. დიდი ყურადღება ექცევა შაბათობის მოწყობას, რომელიც დიდ თანაგრძნობას და აღტაცებას იწვევს გლეხებში ასეთი შაბათობა ძალიან ხშირათ იმართება. ზოგან მოეწყო აგრეთვე წერა კითხვის შკოლები, 31 ივლისს ახალციხეში გაიხსნა პირველი ლეგალური კონფერენცია ჩვენი კავშირისა ცეკადან დაესწრო მას ამხ. დევდარიანი. კონფერენცია დასრულდა 1 აგვისტოს მას ჰქონდა სულ სამი სხდომა. მუშაობა მიდიოდა ნაყოფიერათ. გამოირკვა, რომ ძველი სამაზრო კომიტეტი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. ამორჩეულ იქმნა ახალი სამ. კომ. 7 კაცისაგან შემდგარი. კონფერენციას დაესწრო 25 დელეგატი, რომლებიც აკავშირებდენ 300 მეტ ამხანაგებს. მათი უმრავლესობა გლეხები იყვნენ. ნაციონალური შემადგენლობით კი დიდი უმრავლესობა ქართველობა. იყვენ სომხებიც. თვით ქ. ახალციხეში მოწყობილია კარგი კლუბი. არის სამი იაჩეიკა 1) საჯ. მოსამსახურეების—25 წევრით, მეტყევეების—26 წევრი და მოწაფეთა—9 წევრით. იქ გამოდის აგრეთვე გაზეთი ახალგ. კომუნისტი ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე, რომლის ორი ნომერი უკვე გამოვიდა.

—

ბორჯომში.

ორგანიზაცია გაწმენდილია არასაიმედო ელემენტებისაგან. ბორჯომში გამოვიდა ახალგაზრდათა კომკავშირის გაზეთი.

—

სამტრედია. ხეტყის ქარხნის ახალგაზრდა მუშების კრება.

19 ივლისს გაიმართა ახალგაზრდა მუშათა კრება დაესწრნენ 20 მდი ამხანაგები. მიუხედავათ იმისა, რომ იქ ჩვენი იაჩეიკა არ არის ისინი მაინც დიდის სიხარულით მოვიდნენ კრებაზე. აირჩიეს თავმჯდომარე რის შემდეგ ამხ. ორაგველიძემ ესაუბრა იმათ 4 და 6 საათის სამუშაო დროის შესახებ. ყველა ამხანაგები დიდის სიხარულით შეხვდნენ ამ დეკრეტს შრომის დაცვის შესახებ. ბოლოს მოგვთხოვეს გაგვეგზავნა ერთი ორგანიზატორი, რომელიც იაჩეიკას მოაწყობდა და მათ უხელმძღვანელებდა. ამ ქარხანაში 120 მუშებში 30 მდი ახალგაზრდა მუშები იქნება 4 და 6 საათის სამუშაო დრო ჯერ გატარებული არ არის. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს პროფკავშირმა, რომელსაც სათანადო ინსტრუქცია აქვს და აგრეთვე სამტრედიის რაიკომმა ჩვენი კავშირისა. იმავე დღეს სამტრედიის ახალგაზრდა რკინისგზელები შეიკრიბენ. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა რკინისგზელები სრულებით არ ჰკავენ მოზრდილებს. ისინი აშკარათ თანაგვიგრძნობენ ჩვენ და ბევრი მათგანი ჩვენთანაც მუშაობს აქტურათ ამ ამხანაგებმა მოისმინეს ამხ. ორაგველიძის მოხსენება და გადაწყვიტეს მიეშველონ კომკავშირს და მის ცეკას და ფიცი დადეს, რომ არას დროს მის წითელ დროშას არ უღალატებენ. გაუმარჯოს სამტრედიის ახალგაზრდა რკინისგზელებს და მის რევოლიუციონერ მისწრაფებას!

—

ბახმარო.

წელს აგარაკ ბახმაროზე ახალგაზრდა კომუნისტების ერთი ჯგუფის თაოსნობით და კომპარტიის ადგილობრივ ბიუროს ინიციატორობით წაკითხულ იქმნა ორი ლექცია.

პირველი: „კაპიტალიზმის კრახი და პროლეტარული რევოლიუცია“ წაიკითხა ახალგაზრდა კომუნისტმა ამხ. კოტე გორდელაძემ; მეორე: „ხელოვნება და მუშათა კლასი“ წაიკითხა ახალგაზრდა კომ. ამხ. გოგი ბელელძემ.

შესვლა უფასო იყო.

ლექციას დიდძალი მსმენელი დაესწრო. თავმჯდომარეობდა ამხ. არტემ ბარამიძე.

ლექციის ირგვლივ გამართული კამათი ორ დღეს გაგრძელდა. ოპონენტებმა ვერ შესძლეს დებულებებს შეხებოდნენ. ვერ უარყვეს კაპიტალიზმის ეკონომიური და მაშასადამე პოლიტიკური კრახიც.

ვერ უარყვეს, რომ დღევანდელ პირობებში კაპიტალიზმი უარყოფით ფენომენათ იქცა. საზოგადოთ ლექციის შინაარსით და დებულებების სათანადოთ დამტკიცებით აუდიტორია კმაყოფილი დარჩა.

ალ. მასხან

—

ქ. რედუტ-კალე

კვირას 7 აგვისტოს ადგილობრივი პარტკომის მიერ ფოთის ახალგაზრდობათა კომკავშირის კომიტეტის დავალებით მოწვეულ იქნა მიტინგი. მიტინგს ხალხი ბლომათ დაესწრო. თანამედროვე მომენტზე მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ხუნდაძემ, როგორც საერთაშორისო ისე საქართველოს მდგომარეობაზე. ახალგაზრდობის სახელით ილაპარაკეს ამხ. მ. ხვიჩიამ და ს. ქორიძემ, რომლებმაც მოუწოდეს მათ, რათა შემოკრბენ მშრომელთა ინტერესების დამცველ კომკავშირის დროშის ქვეშ. მოხსენებები შინაარსიანი იყო და ხალხიც კმაყოფილნი დაიშალნენ. საღამოს გაიმართა კონცერტ მიტინგი, მოხსენება გააკეთეს ამხ. ქორიძემ და ხვიჩიამ. აქაც ახალგაზრდობაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მოხსენებებმა და სურვილი გამოთქვეს რათა ხშირათ გაიმართოს ასეთი მიტინგები. აქ ჯერ კავშირი არ არის დაარსებული მცირე წლოვანი ამხანაგები პარტიაში ირიცხებიან. ამიტომ ფოთის კომიტეტმა გაგზავნა ამხ. ხვიჩია იქ კავშირის დასაარსებლათ და რაიონის მოსაწყობლად. ის შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას და მოსალოდნელია, რომ საქმეს სასურველ ნიადაგზე დააყენებს.

დამსწრე.

ლტოლვა კომკავშირისაკენ

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით საყოველთაოთ განაცხადოთ შემდეგი:

უკვე შესრულდა ხუთი თვე მას შემდეგ რაც კომუნისტურმა პარტიამ ხელში აიღო მართვა გამგეობა საქ. საბჭოთა რესპუბლიკისა. ვაკვირდებოდი რა მათ მიერ წარმოებულ აღმშენებლობით მუშაობას დავრწმუნდი, რომ ისინი ყოფილან მუშების და გლეხების ინტერესების ნამდვილი დამცველნი. ამიტომ ვტოვებ საქ. სოც. ფედერალისტთა პარტიას და დღიდან ჩემი წერილის გამოქვეყნებისა ვირიცხები კომკავშირის წევრათ.

ჭიათურიდან პეტრე წერეთელი.

საქართველოს სახალხო ბანკი

5 აგვისტოს სხდომაზე საქართველოს რევკომის მიერ დამტკიცებულ იქნა სახალხო ბანკის წესდება, რომელიც შეადგინა ფინანსთა კომისარიატმა და წინასწარ განიხილა და მოიწონა ამ მიზნისათვის მოწვეულმა განსაკუთრებულმა საუწყებათაშორისო თათბირმა დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციების, და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებისაგან.

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებისა და ეკონომიურ ურთიერთობათა წყობის წვრილბურჟუაზიულ ხასიათის მსხვილი წარმოების განუვითარებლობის გამო არ შეეძლო რასაკვირველია მიეცა შესაფერი ნიადაგი საბჭოთა წყობილების მთელი თავისი სიმტკიცით გატარებისათვის საქართველოში და გვაიძულა გადაგვეხვია რამდენიმეთ რუსეთში არსებულისაგან. დატოვებულ იქნა თავისუფალი წვრილი ვაჭრობა განსაზღვრული შეზღუდვით.

აგრეთვე განთავისუფლებულ იქნა წვრილი სამრეწველო დაწესებულებები ნაციონალიზაციისაგან. ამას გარდა, საქართველოს, რომელიც იმყოფება საბჭოთა რესპუბლიკების პერიფერიებსა და საზღვარზე, რომელიც ჰყოფს აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს დასავლეთ ევროპის და ახლო აღმოსავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან, უნდა ჰქონოდა თავის საგარეო ეკონომიურ დამოკიდებულებისათვის ისეთი ორგანოები და აპარატები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასავლეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ასეთი დამოკიდებულების დაწყებასა და განვითარებას.

სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა რესპუბლიკის მთავრობა დაარსებია სახალხო ბანკი მისი ფუნქციებით ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ცხოვრების დარგში საბჭოთა წყობილებასთან შეფარდებით.

საქართველოს სახალხო ბანკის წინაშე დგას რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები:

სახალხო ბანკი არის რესპუბლიკის ყველა ხელთ საშუალებათა—ფულის ნიშნების (ქაღალდისა და ლითონის), ძვირფას ლითონისა და სხვა ღირებულებების ცენტრალური რეზერვუარი; მეორე მხრითვე იქნება სახალხო ქონებასა და კერძო პირებისა და დაწესებულებების თავისუფალ საშუალებათა შესანახავი ადგილი. მისი უპირველესი ამოცანაა გამოიყენოს ეს ძლიერი საშუალებანი უწინარეს ყოვლისა საერთო სახალხო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ (საბჭოთა დაწესებულებებისა და სახალხო კომისარიატების, რომლებიც განაგებენ ფინანსების, სურსათისა, მიწათმოქმედებისა, საგარეო ვაჭრობას და სახალხო მეურნეობის დარგებს).

სახალხო ბანკმა უნდა მოაწესრიგოს ფულის ტრიალი რესპუბლიკაში, გაამარტოვოს და გაადვილოს ის, როგორც შინ ისე მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც, განამტკიცოს ჩვენი ფულის ნიშნების კურსი და არსებულ სიძნელეთა მოსპობით გზა გაუკაფოს ფულის რეფორმის გატარებას ახლო მომავალში.

სახალხო ბანკი არის ძლიერი იარაღი მთავრობის ხელში საზღვარგარეთთან საგარეო ვაჭრობის, წარმოებისა და განვითარებისათვის. ყოველგვარი ანგარიშების გასასწორებლათ, ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების დასადებათ საზღვარგარეთულ ფირმებთან, საჭირო საკრედიტო, საკომისიო, საარბიტრაჟო და სავალუტო ოპერაციების საწარმოებლათ, რათა რაც შეიძლება მეტად ხელსაყრელათ რესპუბლიკისთვის გამოყენებულ იქნეს საზღვარ-გარეთის ბაზარი.

სახალხო ბანკმა დიდი როლი უნდა ითამაშოს სოფლის მეურნეობაშიაც რესპუბლიკის მელიორაციულ ღონისძიებისთვის ხელის შეწყობით მიწათმოქმედების აღორძინებლათ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისთვის ფულის დახმარებით სახალხო ბანკი აღმოუჩენს დახმარებას გლეხობას აუცილებელ საჭირო იარაღებისა და ინვენტარის შეძენისა და ნაწარმოებთა გასაღების საქმეში.

ასეთივე როლი უნდა ითამაშოს სახალხო ბანკმა ქალაქის საფაბრიკო-საქარხნო დაწესებულებათა მიმართაც, კერძოთ იმათ, რომლებიც უკვე სახელმწიფოს ხელშია, უკვე არსებულის განახლების და გაფართოვებისათვის და აგრეთვე ახალი დაწესებულებების დაარსებისათვის ხელის შეწყობით.

კერძოთ სახალხო ბანკმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს რესპუბლიკის კოოპერატივებს, როგორც მომხმარებელთა, ისე საწარმოოს მათთვის ფართო კრედიტის გახსნით.

ხოლო რაც შეეხება დახმარების აღმოჩენას სახალხო ბანკის მიერ კერძო ინიციატივისათვის, კერძო პირებისა და ფირმებისათვის სავაჭრო-სამრეწველო წრეებიდან, მხარს დაუჭერს და წაახალისებს ბანკი თავისი დახმარების გზით, რომელთა მოღვაწეობაც ცნობილი იქნება უეჭველათ სასარგებლოთ და სასურველათ რესპუბლიკისთვის.

ამგვარათ ამ მეტად მნიშვნელოვან საფინანსო საკრედიტო აპარატის, სახალხო ბანკის, აღდგენით და გარდაქმნით რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა მიმართავს ამ ბანკის მოღვაწეობას რესპუბლიკის, და უპირველეს ყოვლისა მის ქალაქისა და სოფლის მშრომელ მასების ინტერესების და საჭიროების მაქსიმალურათ და საუკეთესოთ დაკმაყოფილების ხაზით. ამ ბანკის მოღვაწეობაში იმ შინაარსის ჩადებით, რომელიც შეეფერება მუშურ გლეხური ხელისუფლების პრინციპებსა და ამოცანებს.

ბანკის ცალკე ოპერაციებზე და მის ადმინისტრატიული აპარატის მოწყობის შესახებ შემდეგ.

იქს.

წითელ რესპუბლიკებში.

რუსეთში

ბრძოლა სიმშილთან. დამშეულ ადგილებში

მოსკოვი 5 აგვისტო. გადასახლების მოძრაობასთან ერთად ვოლსკის მაზრის (სარატოვის გუბერნია) გლეხები თავის ახალ მოსავლიდან მიღებულ პურს ჰყიდიან ბაზარზე მეტად დაწეულ ფასებზე და საჩქაროდ სტოვებენ მშობელ ადგილებს. ეს მოვლენა უფრო აიხსნება გლეხთა რწმენით რომ ისინი არ მიიღებენ სახელმწიფო ფონდიდან ანეულ თესლს.

სარატოვის თავისუფალ ბაზარზე ფასები შეუჩერებლივ ეცემა. ჭვავის ფქვილი 170-180 ათას მან. დაიწია 130—160 ათას მანეთამდე ფუთი. ჭვავი ხორბლად—130—150 ათას მანეთამდე. ქერი—123 ათასი მან. კარტოფილი—40—60 ათასი მანეთი ფუთზე. ჭვავის პური—2900 მან. გირვანქა.

269 ათასი ფუთი ჭვავი დამშეულთთვის.

ვლადიმირი 6 აგვისტო სამარაზრუტო მატარებლები ატვირთებიან 269 ათასი ფუთი ჭვავით ვოლგის სანაპიროს არა მოსავლიან ადგილების დასათესად.

უკრაინას დახმარება.

ხარკოვი, 5 აგვისტო სრ. რუს. ცენ. აღმ. კომ. სამართ. შექმნილია დამშეულთა დასახმარებლათ ცენტრალური კომისია. დაადგინეს სასწრაფო წესით შეიმუშაონ კოოპერაციის მხრივ დახმარების გეგმა. კომისიაში შედის საკითხი უკრაინაში ვოლგის სანაპიროს დამშეულ ადგილებიდან გლეხების გადმოსახლებისა, რომლებიც არიან უკრაინიდან გამოსულები და მათდამი მიწის მიცემა. პასუხისმგებელ მუშაკთა სათათბირომ რომელიც მოიწვია უკრაინის სამხედრო-სასურსათო მომარაგების საბჭომ გამოჰყო სამეული, რომელსაც მიეცა განაწესი (наказ), რათა 24 საათის განმავლობაში წარმოადგინოს დამშეულთადმი დახმარების კონკრეტული გეგმა, დაადგინეს მიმართონ ყირიმსა და უკრაინის ყველა შეიარაღებულ ძალების სარდალს შუამდგომლობით შესახებ ცენტრალური სახელდობო კომისიის შეთქმისა, და მიემართოს ყველა სამეურნეო სამხედრო სასურსათო მომარაგების საბჭოს და სხვა სასურსათო ორგანოებს მხურვალე მოწოდებით ვოლგის სანაპიროს დამშეულთადმი დასახმარებლათ.

შემოუსვლელი ჭვავი

სამარა. 2 აგვისტო. პერმის გუბერნიის სამხრეთ რაიონებში ხშირია შემოუსვლელი ჭვავის ნაწილობრივი მკრების შემთხვევა, რაიც ამცირებს სასურსათო-სათესლო ფონდს. პერმის საგუბერნიო თესვის კომპანიამ კატეგორიულად აკრძალა შემოუსვლელი ჭვავის მკრება. აკრძალულია აგრეთვე მოუსვლელ ჭვავის დაფქვა, მიმდინარე წლის ანეულ ჭვავის მოსავალი პირველ რიგში მოხმარებულ იქნება ანეულების დასათესად.

ბრძოლა გვალვასა და მოუსავლობასთან.

მოსკოვი. 2 აგვისტო. მიწისა და ტყის ყველა მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტმა წარუდგინა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ეკონომიურ განყოფილებას ღონისძიებათა პროექტი სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიებში დატეხილ მოუსავლობის წინააღმდეგ ბრძოლისა. პროექტი ძირითად მიზნად ისახავს—მომავალ წლისათვის მინდვრების დათესვის შესაძლოების უზრუნველყოფას და შეძლების დაგვარად მიზანშეწონილად რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ლტოლვილთა განაწილებას, რათა ისინი გამოიყენონ სასწრაფო მიზნების შესასრულებლათ [illegible] გუბერნიებში სიტყეო დახვა დებულზე, მარილის დამზადებაზე და სხვა.

კონკრეტულად პროექტი წინადადებას იძლევა დაუყონებლივ დასათესად საჭირო საგანგებო თესლის რაოდენობის გამორკვევისა და გაეცეს ეს დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფო რესურსებიდან.

თესლის გაცემის პირობა—ნიადაგის ძირითადი მომზადება.

მოხვნისადმი დახმარების ნამდვილ ზომათ შეიქნება მოსახლეობის ფურაჟით მომარაგება.

ამას გარდა მოუსავლობისაგან დაზარალებულ მოსახლეობას ეძლევა უფლება თესლეულობის თავისუფლად და კოლექტიურად შესყიდვისა, და მათი შოვნა კოოპერაციასთან საქონლის-გაცვლა გამოცვლის საშუალებით. და ბოლოს, წინადადება ეძლევა საქონლისა და მოწყობილობის შესყიდვის მოწყობა იმ ლტოლვილთაგან, რომლებიც ტოვებენ ლუკმა დაცლას თავის მეურნეობისა და საქონლის დაუყოვნებლივი ევაკუაციით მოსავლიან გუბერნიებში.

ქრონიკა

◆ ქართული წარმოდგენა. დღეს, 16 აგვისტოს ნაძალადევის თეატრში წარმოდგენილ იქნება მალვა დადიანის პიესა სამეგრელოს წარსულ ცხოვრებიდან „გუშაქარი“. მონაწილეობენ: ელო ანდრონიკაშვილი, ვ. გამყრელიძე, შ. დადიანი, პ. კორიშელი, დ. ჩხეიძე, ვ. ჯაქელი, დ. ჩიქოვანი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. ბილეთები კასაში.

◆ 11 აგვისტოს 1 ლ ცალკე ბრიგადის შტაბში მოხდა საერთო კრება წითელ-არმიელების და თანამშრომლების. მოხსენება გააკეთა ბრიგადის სამხედრო კომისარმა ამხ. სიჭინავამ იმ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა მდინარე ვოლგის ნაპირას მდებარე გუბერნიების გლეხობას. კრებამ მიიღო რა მხედველობაში დამშეული გლეხობის საშინელი მდგომარეობა გამოუცხადა მათ სრული თანაგრძნობა და ერთ ხმათ დაადგინა: შეწირულ იქნას დამშეულთა სასარგებლოთ ორი თვის ჯამაგირი ორი კვირის განმავლობაში ნახევარი გირვანქა პური ყოველ დღიურათ, როგორც პურის ულუფა გადიდებული იქნება გირვანქა ნახევრამდის და ერთი მესამედი ნაწილი კრუპისა. აგრეთვე შეგროვილი იქმნას ყოველგვარი შეწირულება დამშეულთა სასარგებლოდ როგორც სურსათით ისე ნივთებით, ყველამ მიმართონ თავის მშობლებს და ნაცნობებს მოწოდებით რათა მათაც დახმარება გაუწიონ სიკვდილის მსხვერპლად დანიშნულ გლეხობას.

რისთვის სჯის საბჭოთა ხელისუფლება

(საქართველოს საგანგებო კომისიის მუშაობა)

მოჩურჩულე ბნელ პირებს არაერთხელ წამოუგიათ ანკესზე ნაკლებათ შეგნებული გლეხები, ზოგჯერ მუშები და ხდება ხოლმე ინტელიგენციაც. ცილისმწამებელნი ავრცელებენ ხმებს ყოველდღიურ დახვრეტის შესახებ საგანგებო კომისიაში. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ყველაფერი ეს ჭორია. გაზვიადებული და უსირცხვილო სიცრუეა.

მართალია თუ არა რომ საგანგებო კომისიაში დახვრეტა ხწარმოებს ყოველდღე.

არა, მართალი არ არის. მართალია, საგანგებო კომისია ხვრეტს მძარცველებს, რომელთაც სისხლის ღვრა და ხვრევა შეაქვთ სოფელში. მართალია, საგანგებო კომისია ხვრეტს მსხვილ მექრთამეებს, რომელიც ჰქცევენ ხალხს. გაუსწორებელი კონტრრევოლიუციონერი ვერ იპოვის შებრალებას საგანგებო კომისიაში. მაგრამ მატყუარა და ცილისწამებელი ის, ვინც ამბობს, რომ საგანგებო კომისიაში დახვრეტა თითქო ყოველდღე ხდებოდეს. პატიოსან კაცს შეიძლება მხოლოდ ეზიზღებოდეს მოჩურჩულე კაცი და მისგან შორს დაიჭიროს თავი, მას ეხოდება ხალხური ანდაზა: „შორს ტალახისაგან თორემ თითონ დაისვრები.“

ხვრეტს თუ არა საგანგებო კომისია წვრილ ბოროტ-მოქმედს?

ა. ა. სარქისოვმა მოიპარა შულავერის საბჭოთა (ე. ი. სახალხო) წისქვილიდან 18 ნახ. გ. სიმინდის ფქვილი. საგანგებო კომისიის კოლეგიამ მას მიუსაჯა ორი კვირით იძულებითი სამუშაო.

პ. მ. ხაკაძე ხამაგლად ეკიდებოდა თავის სამუშაოს—პურის დარიგებას; შედეგად დააკლდა 1 ფუთი 39 გირ. პური. საგანგებო კომისიის კოლეგიამ დაადგინა, ორი კვირით ჩასვან იგი საპყრობილეში და სურსათ-სანოვაგის საქმეს ჩამოაცილოს.

ხვრეტს თუ არა საგანგებო კომისია დეზერტირებს?

დეზერტირს ბ. გ. კარაპეტოვს საგანგებო კომისიის კოლეგიამ ქაღალდი ჩამოართვა, რომ იგი სამი დღის შემდეგ სამსახურში წავიდოდა.

მ. ი. ვარტიაშვილს, კაცს უზრდელს და უსწავლელს, ცუდი მოკეთეები ურჩევდნენ დეზერტირობას. ს. ქ. კოლეგიამ ეს ამხანაგი სამსახურიდან დაითხოვა.

რამდენ კაცს ხვრეტს დღეში საგანგებო კომისია?

არც ერთს საგანგებო კომისიას, არც ერთს პოლიტბიუროს მთელს საქართველოში არა აქვს უფლება დამოუკიდებლად, საქართველოს საგანგებო კომისიის გარეშე, ვინმე დახვრიტოს. დახვრეტის შესახებ განაჩენის გამოტანა შეუძლია მხოლოდ საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგიის სამოსამართლო სხდომას. ეს სხდომები კი ხდება კვირაში ერთხელ. გარდა ამისა. დახვრეტის ყოველი შემთხვევა საჯაროდ ცხადდება.

წარსულ ასეთ სხდომაზე ჩვენ უკვე ვწერდით. უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა 19 ბრალდებულის საქმეები. არც ერთის მათგანისათვის დახვრეტა არ გადაუწყვეტიათ.

მკითხველებს.

ჩვენ თქვენთან მოვდივართ ციფრებით და ფაქტებით ხელში. ხოლო იმას, ვინც თქვენ ჩაგჩურჩულებთ ცრუ ხმებს და ჭორებს,—უფლება გაქვთ უთხრათ: „შენ მატყუარა ხარ და ცილისმწამებელი. შენ ქურდი ხარ, რადგან შენ პარავ ჩვენს ხალხს ყველაზე უფრო ძვირფასს: სიმართლეს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება

თბილისის ქალაქის რევოლიუციონურ კომიტეტისა ა. წ. 27 ივლის დან (სხდომის ოქმი № 64)

1. შეიცვალოს წყალზედ აქამდის არსებული ფასი, და დაწესდეს ვედრო წყალზედ საშუალოდ 20 მ. ხოლო წარმოებათა ქვეგანყოფილებამ შეიმუშაოს ფასების გაკვეული ნუსხა საჭიროა სხვადასხვა დაწესებულებათა და მუშა მოსამსახურეთათვის.

2. დაწესდეს ელექტრონის ენერგიაზე ფასი, რომლის საშუალო ნორმათ მიღებული იქნას კილოვატზე 700 მან. შემდეგი წესით: კერძო წარმოებანი და სავაჭრო დაწესებულებანი იხდიან საშუალო ნორმის 300 პროც. ე. ი. 2100 მან. კილოვატზე. საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებანი, მოქალაქეთა კერძო ბინები, კინომატოგრაფები და სხვა გასართობი დაწესებულებები იხდიან ნორმალურ ფასს 700 მან. პროფკავშირებში გაერთიანებული ფიზიკური მუშაკნი და წითელ არმიელები იხდიან ამ ნორმის 25 პროც., ე. ი. კილოვატზე 175 მან., ხოლო წითელ ჯარის მეთაურთა შემადგენლობა საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურენი ნორმის 50 პროც., ე. ი. კილოვატზე 350 მან.

დადგენილება შედის ძალაში ა. წ. 1 ივლისიდან,

3. აბანოების ექსპლოატაციის შესახებ აქამდის არსებული წესი გაუქმდეს და მის მაგივრად იქმნას მიღებული შემდეგი: ა) ყველა აბანოებში გარდა მირზოევის აბანოსი, გარდა შაბათისა 12 საათიდან და მთელი დღე კვირისა, ბანაობის უფლება აქვს ფასის გადახდით ყველა კერძო მოქალაქეთ. ბ) შაბათს 12 საათიდან ვიდრე ორშაბათამდე აბანოებში ბანაობის უფლება ეძლევათ პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებს. გ. მირზოევის აბანოში ბანაობის უფლება აქვთ მხოლოდ პროფკავშირის მუშებს დროის განუსაზღვრელათ,

4. ის აბანოები რომლებიც არ მუშაობენ ახლო მომავლისათვის უკვე განზრახულია ექვემდებარება ექსპლოატაციის ზემო ნაჩვენები წესებს.

წესი ეს შედის ძალაში ა. წ. აგვისტოს 1 დან.

ქალ. რევკომის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.

კომუნ. მეურნ. განყოფილების გამგე
ბ. გოგოტიშვილი.

სავალდებულო დადგენილება

ქ. თბილისის რევოლიუციონურ კომიტეტისა 1921 წ. ივლისის 27-ს (ოქმი № 64)

ვინაიდან აბანოები, რომლებიც დღემდე იყო კერძო მეპატრონეების ხელებში, მათ მიერ არ იქმნა აქამდისინ ამუშავებული, მიუხედავათ იმისა, რომ დანიშნულმა ვადამ უკვე განვლო, ქალაქის ტერიტორიაზე ყველა ასეთ მეპატრონეებს ჩამოერთვათ აბანოები და გამოცხადდეს ქალაქის, მუნიციპალური საკუთრებათ. დაევალოს ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას აიღოს თავის აღრიცხვაში აღნიშნული აბანოები და წარმოებათა ქვეგანყოფილების საშუალებით ამუშაოს ერთი კვირის განმავლობაში.

ქალაქის რევკომის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.

კომუნ. მეურნ. განყოფილების გამგე
ბ. გოგოტიშვილი.

შეცდომის გასწორება

„კომუნისტის“ 134 ნომერში მოთავსებული შრომის სახ. კომისარიატის ცირკულიარი რედაქციის შეცდომით დეკრეტათ არის წოდებული. უნდა იყოს ცირკულიარი № 23.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.
— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—[illegible]ხეილის ქ. № 87. ტელ. 5—59.
— მე 3-მე რაიონის ბიურო—[illegible]ლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[illegible]ლა ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52
— მე 5-ის რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აცნობებს მე 4 რაიონის კომიაჩეიკების ყველა მდივნებს, რომ სამშაბათს, ამ წ. 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მიხა ცხაკაიას სახელობის მუშათა კლუბში შესდგება მე 4 რაიონის ყველა მდივნების საერთო კრება. დასწრება ყველა ამხანაგების სავალდებულოა, პარტიული დისციპლინის წესით.

დავკარგე დროებითი მოწმობა მოცემული ს. კ. პ მე 4 რაიონის კომიტეტის მიერ № 169 გიორგ სოლომონის ძე დევდარიანის სახელზე. გთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად.

ქალაქის რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების კბილის საექიმო ქვე განყოფილება აცხადებს, რომ არც ერთ დაწესებულებას ნება არ აქვს იყოლიოს საკუთარი კბილის ექიმი: ამისთ ნება დათხოვნილნი უნდა იქმნენ, მხოლოდ მუშა მოსამსახურენი და მათი ოჯახობა რომელნიც საჭიროებენ კბილის საექიმო უფასო დახმარებას, მიიღებენ ასეთს ქალაქის უფასო კბილის საექიმო ამბულატორიებში.

ეს წესი არ ვრცელდება სამხედრო უწყების დაწესებულებებზე.

კბილის საექ. ქვე განყ. ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა.

ქალაქის რევკომის ჯანმრთელობის განყოფილების კბილის საექიმო ქვე-განყოფილება, აცხადებს დაწესებულებათა და უწყებათა საყურადღებოთ. რომ ქალაქის სხვა და სხვა უბნებში გახსნილია 47 კბილის საექიმო ამბულატორია, სადაც მუშებ, საბჭოთა მოსამსახურეებს და მათ ოჯახობას შეუძლიათ მიიღონ უფასო კბილის საექიმო დახმარება. სათანადო ორდერების წიგნაკი უნდა მიიღონ კბილის საექიმო ქვე-განყოფილებიდან ([illegible] ქ. № 22) ყველა საბჭოთა დაწესებულებამ, (გარდა სამხედროსი) რომელნიც თავიან მხრივ ანაწილებენ მათ საჭიროების მიხედვით თანამშრომლებში.

კბილის საექიმო ქვე-განყოფილება.
ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისა.

რკინის გზის აგენტთა მოსამზადებელი ქართული ქვეგანყოფილება

აცხადებს, რომ მახლობელ დღეებში როგორც თბილისში, ისე ბათუმში, შორაპანსა და ხაშურში იხსნება სარკინიგზო პროფესიურ-ტექნიკური კურსები რკინის გზის აგენტთა მოსამზადებლად და მუშათა საკვალიფიკაციოთ. თბილისში იხსნება კურსები შემდეგ თანამდებობათათვის მოსამზადებლად: სადგურის უფროსები, მათი თანაშემწენი, გზის ოსტატნი, მაშინისტები, მათი თანაშემწენი, ტექნიკური მწერლები მორიგეობის უფლებით, კონდუქტორები, მწონავები, კასირები ყველა სახელწოდებისა, ტელეგრაფისტები და ტელეგრაფის ზედამხედველები, თბილისის კურსებთან იქნება გახსნილი ინტერნატი და სასადილო. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ: ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე № 117 სახლში, მეორე სართულზე, კურსების კანცელარიაში დილის 8 საათიდან—დღის 2 საათამდი; ხაზზე ზემოხსენებულ სადგურებზე, კურსების გამგეებთან. ხაზზე კურსები იხსნება მხოლოთ მუშათა საკვალიფიკაციოთ.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცკ

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ-ლის მეორე კონგრესზე, 6) [illegible] და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძმუხაძე.